



## N02 თებერვალი, 2010

სოციალური მომსახურების სააგენტო გათავაზობს, ყოველთვიურ საინფორმაციო ბიულეტენს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობის და საზოგადოების ფართო ფენების ინფორმირების მიზნით

## 2010 წლის თებერვლის საინფორმაციო ბიულეტენი

### სამედიცინო სადაზღვევო ვაუჩერი 103,032-მა ადამიანმა მიიღო



საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 218 დადგენილების საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტო 2010 წლიდან ახორციელებს სადაზღვევო ვაუჩერების დარიგებას სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახისთვის.

სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო პროგრამაში 263,668 ოჯახია (793,478 ადამიანია) დაზღვეული. 2010 წლის 1 თებერვლიდან დღემდე საქართველოს მასშტაბით სოციალური მომსახურების სააგენტოს

რაიონული განყოფილებების მიერ სადაზღვევო ვაუჩერი მიიღო 31,764-მა ოჯახმა (103,032 ადამიანი). აღნიშნული ვაუჩერები იმ ადამიანებმა და ოჯახებმა მიიღეს, რომელთა სარეიტინგო ქულა 2009 წლის 1 დეკემბრამდე მიენიჭათ და არ აღემატება 70000-ს. აღნიშნული კატეგორიისთვის სადაზღვევო ვაუჩერების გაცემის პროცესი 20 მარტამდე გაგრძელდება.

სამედიცინო სადაზღვევო ვაუჩერი ეტაპობრივად კიდევ 53,479 ოჯახს (173,238 ადამიანს) გადაეცემა.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის №218 დადგენილების საფუძველზევე, ის ადამიანები, რომელნიც სამედიცინო დაზღვევის პოლისებით აქამდე სარგებლობდნენ, მომავალშიც ისარგებლებენ. მათ სადაზღვევო ვაუჩერები ავტომატურად გაუგრძელდებათ სამი წლის ვადით.

### სოციალური მომსახურების სააგენტოს შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან



სოციალური მომსახურების სააგენტო "ზავშზე ზრუნვის" პროგრამის ფარგლებში მიმდინარე წელსაც აგრძელებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. 2010 წლის 15 თებერვალს სოციალური მომსახურების სააგენტოს ინიციატივით, მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად ქ. თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და ჯანდაცვის პროგრამების განყოფილების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. მათ 2009 წელს დაწყებული და

2010 წლისთვის დაგეგმილი პროექტები წარმოადგინეს, რომელიც ქვეყანაში სოციალური პრობლემების აღმოფხვრას ემსახურება.

"ზავშზე ზრუნვის" 2010 წლის პროექტების შესახებ ისაუბრეს არასამთავრობო ორგანიზაციებმაც.

## სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის განცხადება



სადაზღვევო ვაუჩერების დარიგებასთან და ასევე, ადრე მიღებული პოლისებით სარგებლობასთან დაკავშირებით, 2010 წლის 5 თებერვალს სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორმა ანდრია ურუშაძემ სატელევიზიო განცხადება გააკეთა.

"ყველა ოჯახს აქვს უფლება თავად გააკეთოს არჩევანი, რომელ სადაზღვევო კომპანიასთან სურს სადაზღვევო ხელშეკრულების გაფორმება. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 3 წლის ვადით. სადაზღვევო ვაუჩერები ასევე გადაეცემათ სახალხო არტისტებს, სახალხო მხატვრებს, რუსთაველის პრემიის ლაურეატებს, კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირებს და მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. სოციალური მომსახურების სააგენტო მზად არის ითანამშრომლოს ამ საკითხებთან ყველა სადაზღვევო კომპანიასთან, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციებთან, ჟურნალისტებთან", - განაცხადა ანდრია ურუშაძემ.

ოჯახებს, რომელთაც უკვე ეწურებათ სადაზღვევო პერიოდი, ორი თვით ადრე შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებს სადაზღვევო კომპანიის შეცვლის მოთხოვნით. სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებს სადაზღვევო კომპანიის შეცვლის შესახებ განცხადებით ოჯახის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა უნდა მიმართოს. ამ პირობის ან ვადის დარღვევის შემთხვევაში განაცხადი აღარ განიხილება. ასევე, არ განიხილება ის განცხადებები, რომლებიც არ არის წარმოდგენილი სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ორგანოებში. ასეთ შემთხვევებში ვერ ხერხდება გნმცხადებლის იდენტიფიცირება, ხელმოწერების ნამდვილობის დადასტურება და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 დეკემბრის № 218 დადგენილებით გათვალისწინებული ვადების დაცვა.

ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ირღვევა მოქალაქის (ოჯახის) უფლება მიიღოს ვაუჩერი და გააკეთოს თავისუფალი არჩევანი, გთხოვთ დაუყოვნებლივ აცნობოთ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოპერატიულ სამმართველოს ტელეფონით: 95 22 28

## სოციალური მომსახურების სააგენტომ სადაზღვევო ვაუჩერების გაცემა დაიწყო



2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 218 დადგენილების საფუძველზე, სოციალური მომსახურების სააგენტო 2010 წლიდან ახორციელებს „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის“, „სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების“, „კომპაქტურ დასახლებებში მყოფ იძულებით გადაადგილებულ პირთა“, „მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა“ სამედიცინო დაზღვევას.

მიმდინარე წლის იანვრის მონაცემებით, მოქმედი სადაზღვევო ხელშეკრულებებით (ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისით) 805 952 ადამიანი სარგებლობს. ზემოაღნიშნული ოთხივე პროგრამის ფარგლებში, მათთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან იანვრის თვეში 11.714 613 ლარია გამოყოფილი.

2009 წლის 9 დეკემბრის საქართველოს მთავრობის 218 დადგენილების საფუძველზე, 2010 წლის 20 მარტამდე სადაზღვევო ვაუჩერს მიიღებს კიდევ 173 238 ადამიანი (სახალხო არტისტები, სახალხო მხატვრები, რუსთაველის პრემიის ლაურეატები, კომპაქტურ დასახლებებში

მყოფი იძულებით გადაადგილებული პირები, მზრუნველობამოკლებული ბავშვები და „სიღარიბის ზღვარს ქვემოთ“ მყოფი ის ადამიანები, რომელთაც „ოჯახის დეკლარაცია“ 2009 წლის 1 დეკემბრამდე შეავსეს და ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს).

დანარჩენი პირების სადაზღვევო ვაუჩერებით უზრუნველყოფა ეტაპობრივად განხორციელდება.